

## რაჭის მიწისძვრის გავლენა ენგურჰესის თაღოვან კაშხალსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე

*გურამ ქუთელია<sup>1</sup>, ევგენი საყვარელიძე<sup>2</sup>, ჯემალ ქირია<sup>3</sup>*

ელ-ფოსტა: [guram.kutelia@tsu.ge](mailto:guram.kutelia@tsu.ge)

<sup>1</sup>გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

<sup>2</sup>ფიზიკის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ი.ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

<sup>3</sup>მ. ნოდისას გეოფიზიკის ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მ. ალექსიძის ქ. 1, თბილისი, საქართველო

როგორც ცნობილია, მდინარე ენგურზე გასული საუკუნის 70- იან წლებში აშენდა მაღლივი 271.5 მ. სიმაღლის თაღოვანი კაშხალი. იგი აშენებულია რთული გეოლოგიური აგებულების და სეისმურად აქტიურ რეგიონში.

ენგურჰესის კაშხლის ფუძეში გადის ინგირიშის ნაპრალის განშტოება, რომელზეც წარმოებს გეოფიზიკური დაკვირვება (დეფორმოგრაფი). ნაპრალის ბორტები მოძრაობენ ჰესში წყლის დონის ცვალებადობის დროს. ბორტების ამოძრავება ასევე შეუძლია ძლიერ მიწისძვრასაც. სწორედ ეს გახდა საფუძველი იმისა, რომ ამ ობიექტის პროექტირებისა და მშენებლობის პერიოდში პარალელურად მიმდინარეობდა გეოლოგიური, გეოფიზიკური, გეოდეზიური და სხვა სახის დაკვირვებები, რომელთა გარკვეული ნაწილი დღესაც გრძელდება.